

რეზიდენტურის პროგრამა გასტროენტეროლოგიაში
/ხანგრძლივობა – 3 წ. - 33 თვე/

1. ზოგადი დებულებები

გასტროენტეროლოგია წარმოადგენს დამოუკიდებელ საექიმო სპეციალობას, რომელშიც ისევე როგორც სხვა სამედიცინო სპეციალობებში აუცილებელია დიპლომის შემდგომი პროფესიული დახელოვნება.

პროგრამის მიზანია

- საბაზისო სამედიცინო განათლების მქონე პირის გასტროენტეროლოგიის კონკურენტუნარიან საპეციალისტად დახელოვნება და მომავალი დამოუკიდებელი საექიმო (ამბულატორიული, სტაციონალური) და სამეცნიერო საქმიანობისთვის სათანადო გამოცდილების შექმნა;
- გასტროენტეროლოგიური დაავადებების მართვის გაუმჯობესება;
- გასტროენტეროლოგიაში სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო პროგრამების ჰარმონიზაცია. აშშ-ში და ევროპაში არსებული გასტროენტეროლოგიის მაღალი პროფესიული სტანდარტების გაზიარება.

მიმდინარე პროგრამა ასახავს რეზიდენტურის სამწლიან სასწავლო კურსს გასტროენტეროლოგიაში. ამ სწავლებით რეზიდენტმა უნდა შეიძინოს კომპეტენციები ქვემოთჩამოთვლილ სფეროებში.

პაციენტის მოვლა:

- ანამნეზის სრულყოფილი შეგროვება
- პაციენტის სრულყოფილი გასიჯვა
- ჰოსპიტალში მოსათავსებელი პაციენტის დიაგნოზის მაღალი სიზუსტე
- ჰოსპიტალში მოთავსებული პაციენტის ხარჯთეფექტური მართვა როგორც ფარმაკოლოგიური, ასევე არაფარმაკოლოგიური მკურნალობის მეთოდებით
- გასტროენტეროლოგიური და სხვა სამედიცინო პრობლემების ამოცნობა და პრიორიტეტების მიხედვით რანჟირება
- გასტროენტეროლოგიურ დაავადებათა გართულებების პრევენცია, ამოცნობა და დროული მართვა
- პაციენტის მოვლისას ეთიკის ნორმების დაცვა და გულისხმიერი დამოკიდებულება

სამედიცინო ცოდნა:

- ბაზისური ცოდნის გაუმჯობესება გასტროენტეროლოგიაში
- ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების ცოდნა, ამ ტექნოლოგიების უსაფრთხო, ეფექტური და ეკონომიკური გამოყენება
- დაავადებისა თუ მკურნალობის მოსალოდნელი გართულებების დროული ამოცნობისა და მართვის უნარი
- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული სამედიცინო ინფორმაციისა და სამეცნიერო მტკიცებულებების კრიტიკული შეფასების უნარი

ინტერპერსონული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები:

- პაციენტებსა და მათ ოჯახებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი, რაც მოიცავს პაციენტის და მისი ოჯახის წევრების მოსმენას და გაგებას, კულტურული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებას და დაძლევას,
- კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი
- პაციენტის ყველა მომვლელთან და ქრონიკულ მართვაში ჩართულ პერსონალთან ეფექტური კომუნიკაცია
- პაციენტის შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ გადმოცემის უნარი როგორც ზეპირი შეფასებისას, ასევე წერილობით
- კოლეგებისა და სტუდენტების ეფექტური სწავლების უნარი

პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და გაუმჯობესება:

- პაციენტის მოვლის გასაუმჯობესებლად მეცნიერული და პრაქტიკული ლიტერატურიდან თანამედროვე ინფორმაციის მოპოვება
- პრაქტიკული მუშაობის გასაუმჯობესებლად და შესაფასებლად შესაბამისი სისტემების შესწავლა, მათ შორის პაციენტის მხრიდან შეფასება და გამოსავლის ანალიზი
- სამედიცინო ლიტერატურის კრიტიკული შეფასების უნარი
- ცოდნის გაუმჯობესების ზოგადი და ინდივიდუალური სტრატეგიის შემუშავება

სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა:

- ჯანდაცვის მთელი სისტემის მუშაობის ცოდნა, მათ შორის იმ პრაქტიკული გაიდლაინებისა და რესურსებისა, რაც გააუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს და გავლენას მოახდენს პაციენტის მოვლის ყველა ასპექტზე
- პაციენტის მოვლის პროცესში იყენებდეს მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ხარჯთეფექტურ სტრატეგიებს
- პაციენტის ინდივიდუალური ფინანსური შეზღუდვების პირობებში ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტური გამოყენება
- ჯანდაცვის არსებული სისტემის ფარგლებში პრაქტიკული მედიცინის სამართლებრივი საკითხების ცოდნა.

2. სასწავლო პროგრამის შინაარსი

დეფინიცია:

გასტროენტეროლოგია და ჰეპატოლოგია - “გასტროენტეროლოგია” მედიცინის ის განხრავი, რომელიც ორიენტირებულია მოზრდილებში კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების დიაგნოსტიკასა და არაქირურგიულ მკურნალობაზე.

გასტროენტეროლოგიისა და ჰეპატოლოგიის სპეციალისტი არის ინტეგრირებული ცოდნის მქონე ექიმი, რომელიც ორიენტირებულია მოზრდილთა ჯანმრთელობის პრობლემებზე და, რომელსაც გავლილი აქვს რეზიდენტურის სპეციალური კურსი “გასტროენტეროლოგიაში”. აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ “ინტერნისტი” სრულად ფლობს მოზრდილებში კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების დიაგნოზის, დიფერენციული დიაგნოზის, მკურნალობისა და პრევენციის საფუძვლებს.

გასტროენტეროლოგიისა და ჰეპატოლოგიის სპეციალისტის მოვალეობაა: კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების დროული ამოცნობა, პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფა.

სპეციალობის აღწერილობა:

სპეციალობა მოიცავს ქვემოჩამოთვლილი დაავადებების, პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები

- საყლაპავის დაავადებები (ეზოფაგიტი, საყლაპავის ქიმიური დამწვრობა და სტრიქტურა, კარდიის აქალაზია, საყლაპავის დივერტიკული და თიაქარი, საყლაპავის ინფექციური დაავადებები, საყლაპავის რუპტურა, საყლაპავის კიბო);
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებები (გასტრიტები, პეპტიკური წყლული);
- პანკრეასის დაავადებები (ქრონიკული და მწვავე პანკრეატიტი);
- მალაბსორბციის სინდრომი (ცელიაკია, უიპლის დაავადება, ნაშირწყლების აუტანლობა, ტროპიკული სპრუ, ნაწლავური ლიმფანგიექტაზია);
- ნაწლავის ქრონიკული ანთებითი დაავადებები (კრონის დაავადება, წყლულოვანი კოლიტი);
- ნაწლავის ფუნქციური დარღვევები (გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი, მეტეროზმი);
- ანორექტალური მიდამოს პათოლოგია (ბუასილი, უკანა ხვრელის ნაპრალი, ანორექტალური აბსცესი და ფისტულა, პარაპროქტიტი).
- ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება;
- ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანება;
- ღვიძლის ფიბროზი და ციროზი;
- ჰეტატიტები (მწვავე და ქრონიკული);
- ღვიძლის ქრონიკული დაავადებები (პირველადი მასკლეროზირებადი ქოლანგიტი, ალფა-ანტიტრიფსინის დეფიციტი, პირველადი ბილიარული ციროზი);
- ღვიძლის მედიკამენტური დაზიანება;
- ღვიძლის პოსტოპერაციული დისფუნქცია;
- ღვიძლის გრანულომები;
- ჰეპატო-ვასკულური დაავადებები (ბად-კიარის სინდრომი, ღვიძლის ვენების დაზიანება, კარის ვენის დაზიანება, ღვიძლის არტერიის დაზიანება);
- ჰეპატო-ვასკულური დაავადებები შემართებელი ქსოვილის სისტემური დაავადებების დროს;
- ნაღვლის ბუშტის დაავადებები (ნაღვლ-კენჭოვანი დაავადებები, მწვავე და ქრონიკული ქოლეცისტიტები, ქოლედოქოლითიაზი, სანაღვლე გზების დისკინეზიური დაავადებები, დივერტიკული).

იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს ექიმ – სპეციალისტს;

- კლინიკურ-დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია
- ბიოქიმიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია
- იმუნოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია

- მორფოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია
- ⇒ სისხლის საერთო ანალიზის ინტერპრეტაცია;
- ⇒ სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ სისხლის იმუნოლოგიური და ბაქტერიული კვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ სისხლის სეროლოგიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ ჰემოსტაზიოგრამის ინტერპრეტაცია;
- ⇒ სისხლში ჰორმონული სტატუსის ინტერპრეტაცია;
- ⇒ შარდის საერთო ანალიზი;
- ⇒ შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ ფილტვების რენტგენოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ კუჭის წვენის ლაბორატორიული კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია;
- ⇒ დუოდენური ზონდაჟის მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
- ⇒ განავლის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური ინტერპრეტაცია;
- ⇒ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი და ენდოსკოპიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;
- ⇒ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
- ⇒ ღვიძლის და სანადღვე გზების ულტრასონოგრაფიული, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ⇒ შარდის გამომყოფი სისტემის რენტგენოლოგიური, რადიოიზოტოპური, ულტრასონოგრაფიული, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;

ექიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები (დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები);

- ⇒ პაციენტის გასინჯვა: ანამნეზის შეგროვება, სუბიექტური და ობიექტური მონაცემების შეფასება, კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების რაციონალური და მიზნობრივი დანიშვნა;
- ⇒ კუნთებში, ვენაში, კანქვეშ ინექციები;
- ⇒ მაგისტრალური ვენების კათეტერიზება;
- ⇒ არტერიების პუნქცია და კათეტერიზება;
- ⇒ მუცლის ღრუს ორგანოთა სონოგრაფიული მონაცემების ინტერპრეტაცია;
- ⇒ ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა;
- ⇒ ზონდით კვება;
- ⇒ პარენტერალური და შერეული კვება;
- ⇒ შარდის ბუმბის კათეტერიზება;
- ⇒ ტრანსფუზიული თერაპიის ჩვენებების განსაზღვრა და ტექნიკა.

იმ დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და მკურნალობა უნდა შეეძლოს ექიმ-სპეციალისტს.

- ⇒ უცხო სხეულის მოხვედრა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში;
- ⇒ საყლაპავის სრული გაუვალობა;

- ⇒ საყლაპავის პერფორაცია;
- ⇒ საყლაპავის ქიმიური დამწვრობა;
- ⇒ სისხლდენა გასტროინტესტინური ტრაქტის ზედა ნაწილებიდან;
- ⇒ სისხლდენა ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან, მელორი-ვეისის სინდრომი, კუჭის მწვავე ეროზიები და ჰემორაგიული გასტროპათია, სისხლდენა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულებიდან.
- ⇒ უცნობი ეტიოლოგიის სისხლდენები;
- ⇒ აორტა-წვრილი ნაწლავის ფისტულები;
- ⇒ სისხლდენა გასტროინტესტინური ტრაქტის ქვედა ნაწილებიდან;
- ⇒ მწვავე ტკივილი მუცელში;
- ⇒ შინაგანი ორგანოს პერფორაცია;
- ⇒ პერიტონიტი,
- ⇒ მწვავე პანკრეატიტი;
- ⇒ ნაწლავის მწვავე იშემია;
- ⇒ ღვიძლის მწვავე უკმერისობა.

აკადემიური უნარ-ჩვევები

- ლიტერატურის მიმოხილვისა და მიღებული კლინიკური შედეგების კრიტიკული შეფასება
- ხელნაწერთა მომზადება
- ზეპირი პრეზენტაციების მომზადება
- აქტიური კვლევა ან კვლევის მხარდაჭერა
- ფორმალური და არაფორმალური პედაგოგიური მუშაობა სტუდენტებსა და დაბალი კურსის რეზიდენტებთან

სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა

გასტროენტეროლოგიის და ჰეპატოლოგიის ექიმ-სპეციალისტი უნდა ფლობდეს ცოდნას შემდეგი კანონების შესაბამისად:

- * საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”
- * საქართველოს კანონი “საექიმო საქმიანობის შესახებ”
- * საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”
- * ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების საფუძვლები
- * ბიოეთიკის თანამედროვე პრინციპები

3. სასწავლო პროგრამის შინაარსი

აღნიშნული პროგრამის გასავლელად საჭიროა 3 წელი I ეტაპი მოიცავს შინაგან სნეულებათა ზოგად ნაწილს (ერთი წელი), რომელსაც მოსდევს სასწავლო კურსი უშუალოდ გასტროენტეროლოგიაში (ორი წელი).

პროგრამის პირველი წლის მოდულები:

1. ამბულატორიული თერაპია
2. თერაპიული პაციენტის მართვა სტაციონარში
3. გადაუდებელი მედიცინა
4. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები

მეორე და მესამე წლის მოდულების ჩამონათვალი:

1. საჭმლის მომნელებელი სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია; ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების სიმპტომები;
2. ზედა გასტროინტესტინური ტრაქტის დაავადებები;
3. ნაწლავის დაავადებები;
4. ღვიძლის დაავადებები;
5. პანკრეასის და სანაღვლე ტრაქტის დაავადებები;
6. კვების თავისებურებები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს;
7. ღვიძლისა და გასტროინტესტინური პათოლოგიების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა;
8. გასტროინტესტინური ტრაქტის ენდოსკოპიური კვლევებს მეთოდები;
9. ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის სხივური დიაგნოსტიკა;
10. ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის ლაბორატორიული კვლევის მეთოდები.

პროგრამის ზოგადი ნაწილი - პროფესიული მზადების I წელი

პროგრამის ზოგადი ნაწილი - პროფესიული მზადების I წელი		
მოდ. ¹	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.	ამბულატორიული თერაპია	4 თვე
1.	თერაპიული პაციენტის მართვა სტაციონარში	3 თვე
1.	გადაუდებელი მედიცინა	2 თვე
1.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	2 თვე

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ამბულატორიული თერაპია (პირველადი ჯანდაცვის რგოლებში) - 4 თვე;

მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, მართვა და მონიტორინგი. ძირითადი კომპეტენციების დაუფლება;

მოდულის განხორციელების პირობები - აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი ამბულატორიული დაწესებულება შესაბამისი ასაკობრივი კონტიგენტის მომსახურების (შინაგანი მედიცინა, ოჯახის ექიმი) პროფილით.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები (განმარტებები დაწვრილებით იხ. სილაბუსში)
ანამნეზის შეკრება

კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
დაავადების სიმწვავის ხარისხის დადგენა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტისათვის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და აპციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ობიექტური ინფორმაციის მიწოდების უნარი
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები (იხ. ქვემოთ)
უზშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
ჰაერის უკმარისობა
ტკივილი გულის არეში
ხველა
დიარეა
გონების კარგვა
ცხელება
ჰემატემეზი და მელენა
თავის ტკივილი
სიყვითლე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გამონაყარი
გულისრევა და ღებინება
სისუსტე და დამბლა
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური სიტუაციები:
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია
პათოლოგიური მგრძმონელობა (პარესთეზია და მგრძმონელობის დაკარგვა)
აგრესიული და პათოლოგიური ქცევა
შფოთვა და პანიკური აშლილობა
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
დისპეფსია
დიზურია
გამონადენი და წყლულები სასქესო ორგანოებზე
ჰემატურია
ჰემოპტიზი (სისხლიანი ხველა)
მომრავის შეზღუდვა
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები
სახსრების შეშუპება
ლიმფადენოპათია
წელის ტკივილი

ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
პოლიდიფსია
პოლიურია
ქავილი
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
კანსა და პირის ღრუში არსებული წყლულები
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი
წონაში კლება

ლიტერატურის ნუსხა:

1. გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე.
2. ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”
3. Harrison – “Internal Diseases”
4. Merck Manuel
5. ვაშინტონის თერაპიული ცნობარი

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

მოდული 2.

მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – თერაპიული პაციენტის მართვა სტაციონარში - სამი თვე

მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება.. დიაგნოსტიკური თვალსაზრისით რთული სინდრომების დიაგნოსტიკა, ინტენსიური თერაპია და მართვა,

მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
მდგომარეობის სიმწვავის ხარისხის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება

ჯგუფური მუშაობა და აპციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუსდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
უხშირესი კლინიკური მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
თირკმლის მწვავე დაზიანება და თირკმლის ქრონიკული დაავადება
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
მწვავე კონფუზია/დელირიუმი
ხველა
დიარეა
ცხელება
ჰემატემეზი და მელენა
სიყვითლე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
მოწამვლა
გულისრევა და ღებინება
პაციენტების მართვა, რომლებიც საჭიროებენ პალიატიურ მზრუნველობას და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
წარმონაქმნი მუცელში და ჰეპატოსპლენომეგალია
ასციტი და გაუვალობა
პათოლოგიური მგრძნონელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება
ჰემატურია
ჰემოპტიზი
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი
ჰიპოთერმია
შემთხვევით გამოვლენილი დარღვევები
სახსრების შეშუპება
ლიმფადენოპათია
წელის ტკივილი
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
პოლიდიფსია

პოლიურია
ქავილი
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
წონაში კლება

ლიტერატურის ნუსხა:

6. გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე.
7. ნ.ტატიშვილი გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები”
8. Harrison – “Internal Diseases”
9. Merck Manuel
10. ვაშინტონის თერაპიული ცნობარი

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

მოდულის შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა/ პრეზენტაციის შეფასება/რეფერატის შეფასება.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	30
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
თორაკოცენტუზი, პლევრის პუნქცია	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
პარაცენტუზი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	50
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;	15
მორიგობა	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

მოდული 3.

მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - გადაუდებელი მედიცინა - 2 თვე.

მოდულის მიზანი - ზოგადი კლინიკური და სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციების დაუფლება.

კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების დიაგნოსტიკა და მართვა.

მოდულის განხორციელების პირობები - შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხო რეცეპტურა
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და პაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუსდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
გადაუდებელი მდგომარეობები:
გულის გაჩერება
შოკური სტატუსის მქონე პაციენტის მართვა
უგონო პაციენტის მართვა
ანაფილაქსია
უხშირესი სამედიცინო მდგომარეობები:
მუცლის ტკივილი
მწვავე ზურგის ტკივილი
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
მწვავე კონფიუზია/დელირიუმი
ხველა
დიარეა
გონების დაკარგვა
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გულის ფრიალი
მოწამვლა
გამონაყარი
გულისრევა და ღებინება
სისუსტე და დამბლა

სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
ასციტი და გაუვალობა
პათოლოგიური მგრძნონელობა (პარესთეზია და მგრძნობელობის დაკარგვა)
ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება
სისხლჩაქცევები და სპონტანური სისხლდენა
დიალიზი
ჰემოპტიზი
თავის ტრავმა
ხმის ჩახლეჩა და სტრიდორი
ჰიპოთერმია
მოძრაობის შეზღუდვა
უნებლიე მოძრაობები
სახსრების შეშუპება
წელის ტკივილი
ქირურგიული პროცედურების შემდგომი პრობლემები და გართულებები
ორსულობის დროს აღმოცენებული დარღვევები
შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები
ტკივილი კისრის მიდამოში
ფიზიკური სიმპტომები ორგანული დაავადების გარეშე
სისხლდენა სწორი ნაწლავიდან
მეტყველების გამწვანება
ყლაპვასთან დაკავშირებული პრობლემები
სინკოპე და პრესინკოპე
წონასწორობის დაკარგვა/დისბალანსი
მხედველობის დარღვევა (დიპლოპია, მხედველობის ველის დეფექტები, დაქვეითებული სიმახვილე)

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

პროცედურებისა და მანიპულაციების შესრულება უნდა მოხდეს სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად

შესასრულებელი პროცედურები და მანიპულაციები
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;
სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;
ტრანსფუზიული თერაპიის ჩვენებების განსაზღვრა და ტექნიკა;
ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა სისხლდენის დროს;
პირველადი სასწრაფო დახმარება თვალის ტრავმის, ჭრილობების, დამწვრობის დროს;
ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია;
თორაკოცენტეზი, პლევრის პუნქცია
პარაცენტეზი
სისხლის აღება არტერიული მიდგომით და არტერიული აირების ანალიზი;
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);
ნაზოგასტრალური ზონდის ჩაყენება
სისხლდენის შეჩერების დროებითი მეთოდები;
მოტეხილობების დროებითი იმობილიზაცია;
შარდის ბუმტის კათეტერიზაცია;
მორიგეობა

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	

დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

ლიტერატურის ნუსხა:

- a. Harrison – “Internal Diseases”
- b. Merck Manuel
- c. Judith Tintinali., Emerergency Medicine Textbook. 2009

4. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები – ორი თვე.

მოდულის მიზანი: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დიგნოსტიკა და მართვა.

მოდულის განხორციელების პირობები – შესაბამისი აკრედიტაციის მქონე დაწესებულება.

კომპეტენცია
ზოგადი კლინიკური კომპეტენციები
ანამნეზის შეკრება
კლინიკური კვლევა
წამლები და უსაფრთხი რეცეპტურა
დროის მართვა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
გადაწყვეტილების მიღება და კლინიკური აზროვნება
პაციენტი, როგორც ზრუნვის ცენტრალური ფოკუსი
პაციენტის უსაფრთხოების პრიორიტეტის მინიჭება
ჯგუფური მუშაობა და აპაციენტის უსაფრთხოება
ხარისხის და უსაფრთხოების გაუმჯობესების პრინციპები
ინფექციის კონტროლი
გახანგრძლივებული მდგომარეობების მართვა და პაციენტის თვითზრუნვის ხელშეწყობა
პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია კონსულტაციის დროს
ცუდი ამბების შეტყობინება
საჩივრები და სამედიცინო შეცდომები
კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლეგებთან
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სამედიცინო ეთიკის და კონფიდენციალობის პრინციპები
ინფორმირებული თანხმობა
მუშაობის ლეგალური ჩარჩოები
ეთიკური კვლევები
მტკიცებულებები და გაიდლაინები
სიმპტომზე დაფუძნებული კომპეტენციები
უზშირესი სამედიცინო მდგომარეობები
კოლაფსი
ჰაერის უკმარისობა და ქოშინი
ტკივილი გულის არეში
ხველა
გონების კარგვა, სინკოპე
კიდურის ტკივილი და შეშუპება
გულის ფრიალი
სხვა მნიშვნელოვანი კლინიკური შემთხვევები
შფოთვითი /პანიკური აშლილობა
სინკოპე და პრესინკოპე
სუბსპეციალობებზე დაფუძნებული კომპეტენციები
სტაბილური სტენოკარდია
მწვავე კორონარული სინდრომი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი
ქრონიკული ჰაერის უკმარისობა
გულის უკმარისობა

კარდიომიოპათიები
გულის სარქვლოვანი დაავადების მქონე პაციენტის შეფასება
პერიკადიტები
პირველადი და მეორადი პრევენცია
არტერიული ჰიპერტენზია
ინფექციური ენდოკარდიტის პროფილაქტიკა და მართვა
აორტის დაავადებები
გულის სიმსივნეები
გულის რეაბილიტაცია
პაციენტების შეფასება არაკარდიოქირურგიული ოპერაციების დროს
პაციენტების შეფასება კარდიოქირურგიული ოპერაციების დროს
პულმონური ჰიპერტენზია

ლიტერატურის ნუსხა:

1. ნ.ტატიშვილი, გ.სიმონია – “შინაგანი დაავადებები:
2. გ.ქავთარაძე დიაგნოსტიკური ძიება შინაგან სნეულებათა კლინიკაში. სიმპტომიდან დიაგნოზამდე.
3. მურაშვილი - ელექტროკარდიოგრაფია
 1. Brawnwald– “Heart Diseases”
 2. Merck Manuel

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები.

შესრულებული პროცედურები და მანიპულაციები	რაოდენობა
ავადმყოფის დამოუკიდებელი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა	30
ავადმყოფობის ისტორიის დამოუკიდებელი დაწერა	30
პერიფერიული ვენის პუნქცია და ვენის კათეტერიზაცია;	20
ელექტროკარდიოგრაფია (ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია);	50
დატვირთვის ტესტი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ჰოლტერ-მონიტორინგი	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ექოკარდიოსკოპია	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია, გულის არაპირდაპირი მასაჟი, გულის ელექტრული სტიმულაცია, ელექტრული დეფიბრილაცია, კარდიოვერსია, ტრაქეის ინტუბაცია;	სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ექიმ სპეციალისტთან ერთად
ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია	100
მორიგეობა	თვეში მინიმუმ 4

შეფასების სისტემა	ლოკალური ხელმძღვანელის ხელმოწერა
კარგი	
დამაკმაყოფილებელი	
არადამაკმაყოფილებელი	
სფერო, რომელიც საჭიროებს დახვეწას	
კომენტარი	

**მოდული 1. საჭმლის მომნელებელი სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია;
ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების სიმპტომები.**

მოდულის ხანგრძლივობა – 1 თვე

მოდულის მიზანია – რეზიდენტის ცოდნის გაღრმავება კუჭნაწლავის ტრაქტის ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოფიზიოლოგიისა და დაავადებათა გენეტიკური და მოლეკულური საფუძვლების ფუნდამენტურ საკითხებში, რაც დაეხმარება რეზიდენტებს გასტროენტეროლოგიური დაავადებების ეთიოპათოგენეზის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის ნატიფი მექანიზმების ათვისებაში. აგრეთვე ხელს შეუწყობს მათ მომავალ სამეცნიერო კვლევით მუშაობას.

გასტროინტესტინური ტრაქტისა და ღვიძლის პათოლოგიების სიმპტომებისა და ნიშნების ინტერპრეტაციისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის საფუძვლების ათვისება. სხვადასხვა ორგანოს დაზიანებით მიმდინარე გასტროინტესტინული ტრაქტისა და ღვიძლის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის და მკურნალობის საფუძვლების შესწავლა. რეზიდენტის მზადება და ანამნეზის შეკრების, გამოკვლევათა დაგეგმვასა და ინტერპრეტაციის პროფესიული უნარჩვევების სრულყოფა.

მოდულის ამოცანებია:

- ✓ კუჭნაწლავის ტრაქტის ფიზიოლოგიის, ნორმალური ანატომიის, ბიოქიმიის და მისი ემბრიოლოგიური განვითარების შესწავლა.
- ✓ კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებათა პათოფიზიოლოგიის საფუძვლები
- ✓ კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებათა გენეტიკური და მოლეკულური საფუძვლები
- ✓ კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებათა გამოვლინების ბიოქიმიური, გენეტიკური და მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდების და მათი ინტერპრეტაციის საფუძვლების შესწავლა
- ✓ გასტროინტესტინური ტრაქტისა და ღვიძლის პათოლოგიების სიმპტომებისა და ნიშნების ინტერპრეტაციისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის უნარჩვევების გამომუშავება
- ✓ სხვადასხვა ორგანოს დაზიანებით მიმდინარე გასტროინტესტინული ტრაქტისა და ღვიძლის პათოლოგიათა სწორად მართვის უნარჩვევების შემუშავება

თეორიული კურსი:

გასტროინტესტინური ტრაქტისა და ღვიძლის ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია გასტროინტესტინური ტრაქტის ჰორმონები და ნეიროტრანსმიტერები: უჯრედშორისი კომუნიკაცია, გასტროინტესტინური ტრაქტის ნეირორეგულაცია. გასტროინტესტინური ტრაქტის პეპტიდური ჰორმონები (სინთეზი, პოსტრანსლიაციური მოდიფიკაცია და სეკრეცია) გასტროინტესტინური ტრაქტის სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გასტროინტესტინური ტრაქტის ზრდის რეგულაცია ჰორმონებითა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გასტროინტესტინური ტრაქტის ლორწოვანის იმუნოლოგია და დაავადებათა მექანიზმები ლორწოვანის იმუნური პასუხი და მისი პათოლოგიები უჯრედის ზრდა და სიმსივნური ტრანსფორმაციის მექანიზმები (ნორმალური უჯრედული ჰომეოსტაზის შენარჩუნება და მისი მექანიზმები, პროლიფერაცია და აპოპტოზი).

კარცენოგენეზთან დაკავშირებული გენები და მათი დიაგნოსტიკის სტრატეგია

ღვიძლისა და გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების სიმპტომები და მათი დიფერენციალური დიაგნოსტიკის საფუძვლები:

- მუცლის მწვავე და ქრონიკული ტკივილი
- დისფაგია
- ოდინოფაგია
- გულმძარვა
- დისპეპსია
- გულისრევა და ღებინება
- დიარეა
- მეტეორიზმი
- გასტროინტესტინური სისხლდენები
- სიყვითლე

მულტიორგანული დაავადებები. კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებათა ლორწოვანისა და კანის გამოვლინებები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დივერტიკულები, თიაქრები და მისი გართულებები, უცხო სხეულები და ბეზოარები. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილების ქიმიური დამწვრობები. არასტეროიდული ანთეზისსაწინააღმდეგო საშუალებებით გამოწვეული დაზიანებები. მუცლის ღრუს აბსცესები და ფისტულები. ცილის დაკარგვით მიმდინარე გასტროენტეროპათიები. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლიმფომები, რომლებიც ასევე მოიცავს წვრილი ნაწლავის იმუნოპროლიფერაციულ დაავადებებს. ორგანოთა და ჰემოპოეზური უჯრედების ტრანსპლანტაციით გამოწვეული გართულებები. აივ ინფექციით გამოწვეული გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიები. სისტემური დაავადებების გასტროინტესტინური გამოვლინებები.

ცხრილი 11

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
საჭმლის მომწელებელი სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია; ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების სიმპტომები	ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების მანიფესტაციის ნიშნებში და სიმპტომატიკაში გარკვევა	20-25	რეფერატი და რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 2. ზედა გასტროინტესტინური ტრაქტის დაავადებები

მოდულის ხანგრძლივობა 3 თვე.

მოდულის მიზანია _ რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა საყლაპავის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს საყლაპავის დაავადებების ჩივილების, სიმპტომების ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული

გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. ასევე უნდა შეეძლოს საყლაპავის დაავადებებისა და მათი გართულებების მკურნალობა და მართვა. რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ამ დაავადებათა ჩივილების, სიმპტომების ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. ასევე უნდა შეეძლოს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებების და მათი გართულებების მკურნალობა და მართვა.

მოდულის ამოცანებია:

- საყლაპავის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ემბრიონული განვითარების შესწავლა
- საყლაპავის დაავადებების პათოფიზიოლოგია, ანამნეზის შეგროვება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- საყლაპავის დაავადებების სიმპტომების ცოდნა და დაავადებების ყველა ასპექტის დეტალური შესწავლა
- გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავება დიაგნოსტიკურ პროცედურების შერჩევისათვის
- საყლაპავის დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცედურების, ასევე მათი უსაფრთხოდ და წარმატებით განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავება
- რადიოლოგიური და ენდოსკოპიური გამოკვლევების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა და მათი რისკისა და სარგებლობის დაბალენსების უნარის გამომუშავება
- თეორიული კურსის გავლის შემდეგ აქტიური მონაწილეობის მიღება საყლაპავის დაავადების მქონე პაციენტის მოვლაში
- ჯგუფური მუშაობის უნარის გამომუშავება, რაც გულისხმობს რადიოლოგთან, ქირურგთან და სა სხვა სპეციალისტებთან მჭიდრო ურთიერთობას
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებების მრავლობითი გამოვლინებების ცოდნა მათი ყველა ასპექტის დეტალური შესწავლა
- გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავება დიაგნოსტიკურ პროცედურების შერჩევისათვის
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცედურების განხორციელების და მათი უსაფრთხოდ და წარმატებით განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავება
- **H.pylori** ეპიდემიოლოგიის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესწავლა
- რადიოლოგიური და ენდოსკოპიური გამოკვლევების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა და მათი რისკისა და სარგებლობის დაბალენსების უნარის გამომუშავება
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ანატომიისა და მისი ემბრიოლოგიური განვითარების შესწავლა
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებების პათოფიზიოლოგია, ანამნეზის შეგროვება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

- თეორიული კურსის გავლის შემდეგ აქტიური მონაწილეობის მიღება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადების მქონე პაციენტის მოვლაში
- ჯგუფური მუშაობის უნარის გამომუშავება
- დაავადებების მრავლობითი გამოვლინებების ცოდნა და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებების ყველა ასპექტის დეტალური შესწავლა
- გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავება დიაგნოსტიკურ პროცედურების შერჩევისათვის
- რადიოლოგიური და ენდოსკოპიური გამოკვლევების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა და მათი რისკისა და სარგებლობის დაბალენსების უნარის გამომუშავება

თეორიული კურსი:

საყლაპავის ანატომია და ფიზიოლოგია

საყლაპავის განვითარების ანომალიები

disfagia da saylapavTan dakavSirebuli gulmkerdis tkivilis diagnostika da mkurnaloba

gastroezofagialuri refluksi (meqanizmi, diagnostika, garTulebebi da Terapia).

ezofagitebi (diferencialuri diagnozi da mkurnaloba);

საყლაპავის დამწვრობა

saylapavis simsvneebi (risk-faqtoebi, ujredis tipebi da mkurnaloba);

საყლაპავის დაავადებების მკურნალობისათვის სხვა სამედიცინო სფეროების როლი, როგორცაა სამკურნალო ენდოსკოპია, ქირურგია, ინტერვენციული რადიოლოგია, პათანატომია და ციტოპათოლოგია, ნუტრიციული კვება, ტკივილის მართვა, სამედიცინო ონკოლოგია და რადიაციული ონკოლოგია.

დაავადებების მართვისას ენდოსკოპიური ტექნიკისა და ალტერნატიული დიაგნოსტიკური და სამკურნალო მეთოდების (თერაპიული, ქირურგიული და რადიოლოგიური) როლი

რენტგენოგრაფია, ულტრაბგერა, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია და სცინტიგრაფია

აღნიშნული კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია

- კუჭისა ანატომია
- კუჭისა განვითარების ანომალიები
- კუჭისა ძირითადი დაავადებების პათოფიზიოლოგია და მკურნალობის მეცნიერული საფუძვლები;
- დისპეპსია, გამოკვლევები, რენტგენოსკოპია ბარიუმის ფაფით, ენდოსკოპია,
- არაწყლულოვანი დისპეპსია
- გულისრევა, ღებინება, დიაგნოსტიკა
- გასტრიტი, კლასიფიკაცია
- თანამედროვე შეხედულებები H. pylori-ზე, კლინიკური სურათი, გამოკვლევები
- კუჭის წყლული, კლინიკური სურათი, გამოკვლევები, გართულებები, მკურნალობის თანამედროვე მეთოდები
- კუჭის კიბო, ლიმფომა, პოლიპები, ლეიომიომა და სხვა სახის სიმსივნეები. ხარჯეფექტური დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენება, ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობის შეფასება,
- თორმეტგოჯა ნაწლავის ანატომია
- თორმეტგოჯა ნაწლავის განვითარების ანომალიები

- თორმეტგოჯა ნაწლავის ძირითადი დაავადებების პათოფიზიოლოგია და მკურნალობის მეცნიერული საფუძვლები;
- დუოდენიტი, მიზეზები, გამოკვლევის მეთოდები, კლინიკური სურათი, მკურნალობა
- თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პოსტულბარული ნაწილის წყლულები, გართულებები
- ზოლინგერ ელისონის სინდრომი

ცხრილი 12

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
ზედა გასტროინტენს-ტინური ტრაქტის დაავადებები	ანამნეზის შეგროვება; პაციენტის გასინჯვა; ანამნეზის და გასინჯვის მონაცემების საფუძველზე საექვო დაავადების (ან დაავადებების) გამოყოფა; კვლევის მეთოდების შერჩევა; დიაგნოსტიკური კვლევებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია; მკურნალობის დაგეგმვა და მართვა;	70-80	რეფერატი და რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 3. ნაწლავის დაავადებები

მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე.

მოდულის მიზანია _ რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა წვრილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ამ დაავადებათა ჩივილების, სიმპტომების ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. ასევე უნდა შეეძლოს წვრილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებებისა და მათი გართულებების მკურნალობა და მართვა.

მოდულის ამოცანებია:

განხილულ იქნეს განხილულ იქნეს წვრილი და მსხვილი ნაწლავის ფიზიოლოგია და პათოლოგია და შემენილ იქნას წვრილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებების მქონე პაციენტის მართვის უნარ-ჩვევები. მოდულის მსვლელობისას განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- წვრილი და მსხვილი ნაწლავის ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია
- წვრილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებების გენეტიკური მარკერები,
- წვრილი და მსხვილი ნაწლავის დაზიანების იმუნოლოგიური, ვირუსოლოგიური და სხვა პათოფიზიოლოგიური მექანიზმები,
- წვრილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებების ფართო სპექტრის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

- წერილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებების დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურები – მათი ჩვენებები და გამოყენება ფიზიოლოგია და პათოლოგია და შეძენილ იქნას წერილი და მსხვილი ნაწლავის დაავადებების მქონე პაციენტის მართვის უნარ-ჩვევები.

თეორიული კურსი:

- წერილი ნაწლავის ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია
- წერილი ნაწლავის დაავადებების ფართო სპექტრის დიაგნოსტიკა და მართვა:

წერილი ნაწლავის დაავადებები

დიარეა, გამომწვევი მიზეზები, უცნობი ეტიოლოგიის დიარეა, მოგზაურთა დიარეა მალაბსორბცია, გამომწვევი მიზეზები, კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკა, მკურნალობა

ცელიაკია, სპრუ, ლამბლიოზი, დისბაქტერიოზი, დისაქარიდაზების დეფიციტი, მოკლე ნაწლავის სინდრომი და მალაბსორბციის სხვა მიზეზები.

აპენდიციტი, კლინიკური სურათი, კონსერვატიული მკურნალობა, ქრონიკული აპენდიციტი

წერილი ნაწლავის **სიმსივნეები**:

პოლიპები, ლიმფომა, წერილი ნაწლავის იმუნოპროლიფერაციული დაავადება, წერილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნე

კრონის დაავადება, კლინიკური სურათი, გამოკვლევები, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა

წყლულოვანი კოლიტი

კლინიკური სურათი, გამოკვლევები, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა კოლიტის სხვა სახეები: მიკროსკოპიული კოლიტი, კოლიტი კოლაგენოზების დროს, ფსევდომემბრანოზული და იშემიური კოლიტი

- მსხვილი ნაწლავის ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია
- მსხვილი ნაწლავის დაავადებების ფართო სპექტრის დიაგნოსტიკა და მართვა: ყაზოზა, გამომწვევი მიზეზები, გამოკვლევის მეთოდები, გაუვალობა, მეგაკოლონი, დეფეკაციის დარღვევა.

მსხვილი ნაწლავის პოლიპები, კლასიფიკაცია, კლინიკური სურათი, მკურნალობის მეთოდები, ოჯახური ადენომატოზური პოლიპები, მემკვიდრეობითი არაპოლიპოზური, კოლორექტალური კიბო.

კოლორექტალური კიბო, მიზეზები, კლინიკური სურათი,.

მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზი, მკურნალობა, პროგნოზი.

ნაწლავის იშემია, სისხლძარღვების ანატომია, ნაწლავის მწვავე და ქრონიკული იშემია. იშემიური კოლიტი

ანორექტალური პათოლოგიები, ჰემოროი, სისხლდენა, ჰემოროიდული პროლაფსი, ნახეთქები და ფისტულები, პროქტალგია.

გადიზიანებული ნაწლავის სინდრომი, სიმპტომატიკა, გამოკვლევის მეთოდები, მკურნალობა, დიეტა, პროგნოზი

ცხრილი 13

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
ნაწლავის დაავადებები	ანამნეზის შეგროვება; პაციენტის გასინჯვა;	50-55	რეფერატი და რამდენიმე

	<p>ანამნეზის და გასინჯვის მონაცემების საფუძველზე საექვო დაავადების (ან დაავადებების) გამოყოფა; კვლევის მეთოდების შერჩევა; დიაგნოსტიკური კვლევებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია; მკურნალობის დაგეგმვა და მართვა;</p>	<p>შემთხვევის პრეზენტაცია</p>
--	---	-------------------------------

მოდული 4. ღვიძლის დაავადებები

მოდულის ხანგრძლივობა 3 თვე.

მოდულის მიზანია _ რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა ღვიძლის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ღვიძლის დაავადებების ჩივილების, სიმპტომების ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. ასევე უნდა შეეძლოს ღვიძლის დაავადებებისა და მათი გართულებების მკურნალობა და მართვა.

მოდულის ამოცანებია:

განხილულ იქნეს ღვიძლის ფიზიოლოგია და პათოლოგია და შეძენილ იქნას ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტის მართვის უნარ-ჩვევები. მოდულის მსვლელობისას განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ღვიძლის ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია
- ღვიძლის დაავადებების გენეტიკური მარკერები,
- ღვიძლის დაზიანების იმუნოლოგიური, ვირუსოლოგიური და სხვა პათოფიზიოლოგიური მექანიზმები,
- ღვიძლის დაავადებების ფართო სპექტრის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

ღვიძლის დაავადებების დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურები – მათი ჩვენებები და გამოყენება

თეორიული კურსი:

- ღვიძლის ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია
- ჰეპატობილიარული დაავადებების ფართო სპექტრის დიაგნოსტიკა და მართვა:
 - მწვავე ჰეპატიტები: ვირუსული, მედიკამენტოზური და ტოქსიური
 - ღვიძლის ფულმინანტური უკმარისობა - ტვინის შეშუპების, კოაგულოპათიის და ღვიძლის მწვევ უკმარისობასთან ასოცირებული სხვა გართულებების მართვა
 - ქრონიკული ჰეპატიტებისა და ციროზის დიაგნოსტიკა და მართვა
 - ღვიძლის დაავადებების გართულება: ასციტი, ჰეპატოენცეფალოპათია, სპონტანური ბაქტერიული პერიტონიტი, ჰეპატორენული სინდრომი, საყლაპავის ვარიკოზული სისხლდენისა და გასტროპათიის პრევენცია და მკურნალობა, ჰეპატოცელულური კარცინომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

- არავირუსული ეტიოლოგიის ღვიძლის ქრონიკული დაავადებების – ღვიძლის ალკოჰოლური და არაალკოჰოლური დაავადება (მათ შორის არაალკოჰოლური სტეატოჰეპატიტი), ვილსონის დაავადება, პირველადი ბილიარული ციროზი, აუტოიმუნური ჰეპატიტი, ჰემოქრომატოზი და -1-ანტიტრიფსინის დეფიციტი – დიაგნოსტიკა და მკურნალობა
 - ნაღველკენჭოვანი დაავადებები, მათი სამედიცინო და ქირურგიული მკურნალობა
 - ორსულობასთან ასოცირებული ჰეპატობილიარული დაავადებები
 - განსაზღვრული ღვიძლის დაავადების ან ჰეპატობილიარული დისფუნქციის მქონე პაციენტის პრეოპერაციული შეფასება და პოსტოპერაციული მართვა
 - ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პაციენტების სელექცია, მათ შორის ღვიძლის ალკოჰოლური დაავადების მქონე პაციენტების შეფასება ტრანსპლანტაციისათვის, ალკოჰოლზე დამოკიდებულების დადგენა და იმუნოსუპრესიული აგენტების გამოყენების ცოდნა; ტრანსპლანტანტის მოცილების და ტრანსპლანტაციის სხვა გართულებების (ინფექცია, ბილიარული ტრაქტისა და სისხლძარღვოვანი პრობლემები) დიაგნოსტიკა და მართვა
 - ღვიძლის ქრონიკულ დაავადებებთან ასოცირებული ნუტრიციული პრობლემების მართვა
 - პედიატრიული და თანდაყოლილი ჰეპატობილიარული დაავადებები
 - ღვიძლის პათოლოგიის ჰისტოლოგიური ინტერპრეტაცია
- ღვიძლის ვიზუალიზაციის მეთოდები, მათ შორის კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული მეთოდების (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ანგიოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოგრაფია), ღვიძლის ანგიოგრაფიის და ულტრაბგერის (მათ შორის ღვიძლის სისხლძარღვების დოპლერით შეფასება) ინტერპრეტაცია. თითოეული ამ გამოკვლევის შეზღუდვების ცოდნა.

ცხრილი 14

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
ღვიძლის დაავადებები	ანამნეზის შეგროვება; პაციენტის გასინჯვა; ანამნეზის და გასინჯვის მონაცემების საფუძველზე საექვო დაავადების (ან დაავადებების) გამოყოფა; კვლევის მეთოდების შერჩევა; დიაგნოსტიკური კვლევებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია; მკურნალობის დაგეგმვა და მართვა;	70-80	რეფერატი და რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 5. პანკრეასის და სანაღვლე ტრაქტის დაავადებები

მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე.

მოდულის მიზანია – რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა პანკრეასისა და სანაღვლე ტრაქტის დაავადებების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა

და პროფილაქტიკაში. აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს პანკრეასისა და სანაღვლე ტრაქტის დაავადებების ჩივილების, სიმპტომების ადეკვატური შეფასების და ფიზიკური კვლევის უნარ-ჩვევებს. მას უნდა შეეძლოს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი. ასევე უნდა შეეძლოს პანკრეასისა და სანაღვლე ტრაქტის დაავადებების და მათი გართულებების მკურნალობა და მართვა.

მოდულის ამოცანებია:

- ბილიარული ტრაქტის დაავადებების მრავლობითი გამოვლინებების ცოდნა და ბილიარული დაავადებების ყველა ასპექტის დეტალური შესწავლა
- გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავება დიაგნოსტიკურ პროცედურების შერჩევისათვის
- ბილიარული ტრაქტის დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცედურების განხორციელების და მათი უსაფრთხოდ და წარმატებით განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავება
- რადიოლოგიური და ენდოსკოპიური გამოკვლევების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა და მათი რისკისა და სარგებლობის დაბალენების უნარის გამომუშავება
- პანკრეასისა და პანკრეასის სადინრების სისტემის ანატომიისა და მისი ემბრიოლოგიური განვითარების შესწავლა
- პანკრეასული ზრდისა და დიფერენციაციის რეგულაციის ცოდნა
- პანკრეასის მიერ დიგესტიური ფერმენტების, წყლისა და ელექტროლიტების ეგზოკრინულ სეკრეციაში მონაწილე ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლა
- ეგზოკრინული სეკრეციის პროცესის რეგულაცია
- პანკრეასის მიერ სეკრეტირებული საჭმლის მომნელებელი ფერმენტების ტიპებისა და მათი როლის ცოდნა
- პანკრეასული ფერმენტების აქტივაციის მექანიზმი წვრილ ნაწლავში
- იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც იცავს პანკრეასს თვითმონელებისგან
- მწვავე პანკრეატიტის, ქრონიკული პანკრეატიტის და პანკრეასის სიმსივნის ეპიდემიოლოგია, პათოფიზიოლოგია, ანამნეზის შეგროვება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- პანკრეასის სხვა დაავადებების პათოფიზიოლოგია, ანამნეზის შეგროვება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- თეორიული კურსის გავლის შემდეგ აქტიური მონაწილეობის მიღება ბილიარული ტრაქტისა და პანკრეასის დაავადების მქონე პაციენტის მოვლაში
- ჯგუფური მუშაობის უნარის გამომუშავება, რაც გულისხმობს რადიოლოგთან, ქირურგთან და ჰეპატოლოგთან მჭიდრო ურთიერთობას

თეორიული კურსი:

- ჰეპატობილიარული ტრაქტისა და პანკრეასის ანატომია
- ჰეპატობილიარული ტრაქტისა და პანკრეასის განვითარების ანომალიები
- ნაღველის ფიზიოლოგია და ნაღველის დინების მარეგულირებელი ფაქტორები
- ნაღველის შემადგენელი კომპონენტების (ნაღველის მჟავები, ფოსფოლიპიდები, ქოლესტერინი და ცილები) ფიზიოლოგიური ფუნქცია

- ნაღვლის ბუშტის ფუნქციები, ნაღვლის კონცენტრაციის მექანიზმები და ნაღვლის ბუშტის შეკუმშვების რეგულაცია
- ნაღვლის ბუშტისა და ოდის სფინქტერის მოტილორობის რეგულაცია
- ქოლესტაზის პათოფიზიოლოგია და ნაღვლის დინების დარღვევის მექანიზმები
- ნაღვლის კენჭების ფორმირების პათოფიზიოლოგია (ქოლესტერინის, პიგმენტური ქვები)
- ბილიარული ტრაქტის მოტილობის დარღვევების პათოგენეზი
- ბილიარული ტრაქტის ძირითადი დაავადებების პათოფიზიოლოგია და მკურნალობის მეცნიერული საფუძვლები; როგორც ღვიძლის ტრანსპლანტაციის, ასევე ჰეპატობილიარული ქირურგიული პროცედურების გართულებები
- მოლეკულური ბიოლოგიის ტექნიკის ძირითადი ასპექტები, უჯრედული ბიოლოგიის და ფიზიკური ქიმიის პრინციპები

ბილიარული დაავადებების კლინიკური ასპექტები

- ბილიარული ტრაქტის დაავადებების ეპიდემიოლოგია, გამოვლინებები, დიფერენციული დიაგნოსტიკა და ბუნებრივი მიმდინარეობა
- ბილიარული ტრაქტის სპეციფიკური დაავადებები, როგორცაა კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სტრიქტურები, პირველადი და მეორადი ნეოპლაზმები, ქოლედოქოლითიაზი, ქოლეცისტიტი, მასკლეროზებელი ქოლანგიტი, პანკრეატობილიარული სისტემის თანდაყოლილი ანომალიები (მაგ., ბილიარული ატრეზია, ქოლედოქის ცისტები), ჰემობილია, ბილიარული ტრაქტის მოტილორობის დარღვევები, ბილიარული ხის პოსტ-ოპერაციული გართულებები და ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემდგომი პრობლემები

პანკრეასის დაავადებები

- პანკრეასისა და პანკრეასის სადინრების სისტემის ანატომია და მისი ემბრიოლოგიური განვითარება
- პანკრეასული ზრდისა და დიფერენციაციის რეგულაცია
- პანკრეასის მიერ დიგესტიური ფერმენტების, წყლისა და ელექტროლიტების ეგზოკრინულ სეკრეციაში მონაწილე ფიზიოლოგიური პროცესები
- ეგზოკრინული სეკრეციის პროცესის რეგულაცია
- პანკრეასის მიერ სეკრეტირებული საჭმლის მომნელებელი ფერმენტების ტიპები და მათი როლი
- პანკრეასული ფერმენტების აქტივაციის მექანიზმი წვრილ ნაწლავში
- ფაქტორები, რომლებიც იცავს პანკრეასს თვითმონელებისგან
- მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკა, სიმძიმის შეფასება, ეტიოლოგიის განსაზღვრა, მკურნალობის მეთოდები, პანკრეასისგარე გართულებების მონიტორინგი და მკურნალობა (მაგ., ფილტვის ან თირკმლის უკმარისობა)
- ინფექციური ნეკროზის ან პანკრეასული აბსცესების და სხვა სეპტიური გართულებების დიაგნოსტიკა და დაუყოვნებელი მკურნალობა
- პანკრეასის ფსევდოკისტის დიაგნოსტიკა და მართვა
- ნუტრიციული შევსების საჭიროების, დროისა და ტიპის განსაზღვრა
- ქრონიკული პანკრეატიტის დიაგნოსტიკა, ეტიოლოგიის განსაზღვრა
- ქრონიკულ პანკრეატიტსა და პანკრეასის კიბოს შორის დიფერენციული დიაგნოსტიკის განხორციელება

- მუცლის ტკივილის, პანკრეასის ეგზოკრინული და ენდოკრინული უკმარისობის და ბილიარული ობსტრუქციის მართვა
- პანკრეასის ფსევდოკისტის, ასციტის, პლევრალური სისხლდენის და სისხლმარღვოვანი გართულებების (მაგ., ელენტის ვენის თრომბოზი, ფსევდოანევრიზმა) დიაგნოსტიკა და მართვა
- პანკრეასის კიბო - ხარჯეფექტური დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენება, ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობის შეფასება, ტკივილის, ბილიარული და ინტესტინური ობსტრუქციისა და ელენტის ვენის თრომბოზის მართვა
- ცისტური ფიბროზის დიაგნოსტიკა და მის ფონზე განვითარებული პანკრეასის უკმარისობის მართვა
- ანულარული (რგოლისებრი) პანკრეასის დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- პანკრეასის დაავადებების ეტიოლოგიაში გაყოფილი პანკრეასის მნიშვნელობა
- პანკრეასის დაავადებების დროს დიაგნოსტიკური ტესტების ჩვენებები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია – შრატში ამილაზასა და ლიპაზას შემცვლობა, შრატის სიმსივნის მარკერები, პანკრეასის სეკრეციული ფუნქციის არაპირდაპირი და პირდაპირი ტესტები, დუოდენალური დრენირება ბილიარული კრისტალების სადიაგნოსტიკოდ და პანკრეასული მასების წვრილი ნემსით ასპირაცია და პანკრეასის წვენის ენდოსკოპიური ასპირატის ციტოლოგიური ანალიზი
- პანკრეასის დაავადებების მკურნალობისათვის სხვა სამედიცინო სფეროების როლი, როგორცაა სამკურნალო ენდოსკოპია, ქირურგია, ინტერვენციული რადიოლოგია, პათანატომია და ციტოპათოლოგია, ნუტრიციული კვება, ტკივილის მართვა, სამედიცინო ონკოლოგია და რადიაციული ონკოლოგია.
- ბილიარული ტრაქტისა და პანკრეასის დაავადებების მართვისას ენდოსკოპიური ტექნიკისა და ალტერნატიული დიაგნოსტიკური და სამკურნალო მეთოდების (თერაპიული, ქირურგიული და რადიოლოგიური) როლი
- ენდოსკოპიული რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის როლის მნიშვნელობა, როგორც ბილიარული ხისა და პანკრეასის სადინრების სისტემის შეფასებისა და სამკურნალო ჩარევების ძირითადი საშუალების. მისი ჩვენებები, უკუჩვენებები, შეზღუდვები, გართულებები და ინტერპრეტაცია
- პერკუტანული ტრანსკეპატური ქოლანგიოგრაფია - ჩვენებები, უკუჩვენებები, შეზღუდვები, გართულებები და ინტერპრეტაცია
- შემდეგი ვიზუალიზაციის მეთოდების ჩვენებების, დადებითი და უარყოფითი მხარეები: მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია, ქოლაციისტოგრამა, ულტრაბგერა, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია და სცინტიგრაფია

ენდოსკოპიური ულტრაბგერის მეთოდიკა და ინტერპრეტაცია

ცხრილი 15

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
პანკრეასის და სანაღვლე ტრაქტის დაავადებები	ანამნეზის შეგროვება; პაციენტის გასინჯვა; ანამნეზის და გასინჯვის მონაცემების საფუძველზე საექვო დაავადების (ან დაავადებების) გამოყოფა; კვლევის მეთოდების შერჩევა;	50-55	2 რეფერატი და რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

	<p>დიაგნოსტიკური კვლევებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია;</p> <p>მკურნალობის დაგეგმვა და მართვა;</p>		
--	---	--	--

რეზიდენტურის III წლის მოდულები

მოდული 1. გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების ფსიქოსოციალური ფაქტორები; კვების თავისებურებები კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს

მოდულის ხანგრძლივობა 1 თვე.

მოდულის მიზანია – მოდულის მიზანია გასტროინტესტინული და ღვიძლის პათოლოგიების განვითარებაზე, კლინიკური მიმდინარეობასა და გამოსავალზე მოქმედი ფსიქოსოციალური ფაქტორების და ნერვული სისტემის მდგომარეობის შესახებ აღნიშნული დარგის სპეციალისტის ცოდნის გარღმავება. გასტროინტესტინული და ღვიძლის პათოლოგიების მქონე პაციენტებში კვების თავისებურებათა და დიეტოლოგიის საფუძვლების გაცნობა.

მოდულის ამოცანებია:

- გასტროინტესტინული და ღვიძლის პათოლოგიების განვითარებაზე, კლინიკური მიმდინარეობასა და გამოსავალზე ფსიქოსოციალური ფაქტორების მოქმედების შესწავლა
- გასტროინტესტინული და ღვიძლის პათოლოგიების განვითარებაზე, კლინიკური მიმდინარეობასა და გამოსავალზე ნერვული სისტემის მოქმედების საფუძვლების გაცნობა
- გასტროინტესტინული და ღვიძლის პათოლოგიების მქონე პაციენტებში კვების რეჟიმის, დიეტის და მათი ზეგავლენის როლის შესწავლა

თეორიული კურსი:

გასტროინტესტინული და ღვიძლის პათოლოგიებზე მომქმედი ფსიქოსოციალური ფაქტორები

სტრესი, ფსიქოლოგიური ფაქტორები (ინდივიდუალური თავისებურებები, როგორც ეტიოლოგიური ფაქტორები, ფსიქიატრიული დაავადებები, ფსიქოლოგიური დისტრეს სინდრომები, ფსიქოსოციალური პრობლემები,

ცენტრალური და გასტროინტესტინული ტრაქტის ნერვული სისტემა: თავის ტვინ-ნაწლავის ღერძი

სტრესი და გასტროინტესტინული ტრაქტის ფუნქცია, თავის ტვინ-ნაწლავის ურთიერთქმედება (ნეიროტრანსმიტერების როლი), ვისცერალური ტკივილის რეგულაცია, სტრესის ზეგავლენა იმუნურ სისტემასა და ავადობაზე, ციტოკინები და თავის ტვინი

ფსიქოსოციალური ფაქტორების და ნერვული სისტემის დისფუნქციის კლინიკური გამოვლინებები

დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პაციენტის მართვა

კვების რეჟიმი და დიეტა

გამოფიტული პაციენტების მართვა

ენტერალური და პარენტერალური კვების მეთოდები, დანიშნულება და ჩვენებები
Anorexia Nervosa, Bulimia Nervosa და სიმსუქნე

ცხრილი 11

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
კვების თავისებურებები კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს	კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს კვების თავისებურებების გათვალისწინებით დიეტის შერჩევა	50	რეფერატი და რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 2. ღვიძლისა და გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა

მოდულის ხანგრძლივობა 3 თვე.

მოდულის მიზანია – რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა კუჭნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების ულტრაბგერითი კვლევის მეთოდებში, აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს ულტრაბგერითი გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი.

მოდულის ამოცანებია: რეზიდენტის პროფესიული სრულყოფა:

- ზედა გასტროინტესტინული ტრაქტის
- ქვედა გასტროინტესტინული ტრაქტის
- ღვიძლის, სანღვე გზების, ნაღვლის ბუშტის და პანკრეასის

ნორმალური და პათოლოგიური ულტრაბგერითი სურათის ინტერპრეტაციაში და დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში.

თეორიული კურსი:

ულტრაბგერითი გამოკვლევის ტექნიკის ზოგადი პრინციპები.

გასტროინტესტინური ტრაქტის და ღვიძლის ნორმალური ულტრაბგერითი სურათი.

გასტროინტესტინური ტრაქტის პათოლოგიის ულტრაბგერითი სურათი.

ღვიძლის და ნაღველგამომყოფი სისტემის პათოლოგიის ულტრაბგერითი სურათი.

პანკრეასის პათოლოგიის ულტრაბგერითი სურათი.

ბიოფსიის აღების ტექნიკის საფუძვლები ულტრაბგერითი კონტროლით

ცხრილი 12

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
ღვიძლის და გასტროინტენსტი ნური პათოლოგიების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	ღვიძლის და გასტროინტენსტინურური გამოკვლევის ჩატარება პედაგოგის დახმარებით. მიღებული სურათის აღწერა და ინტერპრეტაცია	80-100	დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან. რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 3. გასტროინტესტინური ტრაქტის ენდოსკოპიური კვლევის მეთოდები

მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე.

მოდულის მიზანია – რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა კუჭნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების ულტრაბგერითი კვლევის მეთოდებში, აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს ულტრაბგერითი გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი.

მოდულის ამოცანებია: რეზიდენტის პროფესიული სრულყოფა:

- ეზოგაგოგასტროდუოდენოსკოპია
- კოლონოსკოპია
- რექტორომანოსკოპია
- ენტეროსკოპია
- ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია

ნორმალური და პათოლოგიური ენდოსკოპიური სურათის ინტერპრეტაციაში და დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში

თეორიული კურსი:

ენდოსკოპიური გამოკვლევის ტექნიკის ზოგადი პრინციპები.

ზედა გასტროინტესტინური ტრაქტის

- ნორმალური
- პათოლოგიების.
- პოსტოპერაციული ცვლილებების ენდოსკოპიური სურათი.
- სისხლდენა
- თერაპიული პროცედურები
- გართულებები

ქვედა გასტროინტესტინური ტრაქტის

- ნორმალური
- პათოლოგიების
- პოსტოპერაციული ცვლილებების ენდოსკოპიური სურათი.
- თერაპიული პროცედურები
- გართულებები

ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია

ენტეროსკოპია

რექტორომანოსკოპია

ცხრილი 13

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
გასტროინტენსტი ნური ტრაქტის ენდოსკოპიური კვლევის მეთოდები	გასტროინტენსტინური ტრაქტის ენდოსკოპიური კვლევის დროს არსებული სურათის აღწერა და ინტერპრეტაცია	40-50	დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურას -თან. რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 4. ღვიძლისა და გასტროინტესტინური ტრაქტის სხივური დიაგნოსტიკა
მოდულის ხანგრძლივობა 2 თვე.

მოდულის მიზანია – რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა კუჭნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების სხივური დიაგნოსტიკის კვლევის მეთოდებში, აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს ენდოსკოპიური გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი.

მოდულის ამოცანებია:

რეზიდენტის პროფესიული სრულყოფა კუჭნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების კვლევის

- რენტგენოსკოპიულ
- კონტრასტულ რენტგენოსკოპიულ
- კომპიუტერულ ტომოგრაფიულ
- მაგნიტურ რეზონანსულ
- რადიოიზოტოპულ

მეთოდებში.

თეორიული კურსი:

კუჭნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის

რენტგენოსკოპია

ნორმასა და პათოლოგიაში

კონტრასტული რენტგენოსკოპია

ნორმასა და პათოლოგიაში

კომპიუტერული ტომოგრაფია

ნორმასა და პათოლოგიაში

მაგნიტური რეზონანსული ტომოგრაფია

ნორმასა და პათოლოგიაში

რადიოიზოტოპული გამოკვლევა

ნორმასა და პათოლოგიაში

ცხრილი 14

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
ღვიძლის და გასტროინტესტი ნური ტრაქტის სხივური დიაგნოსტიკა	ღვიძლის და გასტროინტესტინური ტრაქტის სხივური დიაგნოსტიკის დროს მიღებული სურათის აღწერა და ინტერპრეტაცია	40-50	დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურას -თან. რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდული 5. ღვიძლისა და გასტროინტესტინური ტრაქტის ლაბორატორიული კვლევის მეთოდები

მოდულის ხანგრძლივობა 3 თვე.

მოდულის მიზანია – რეზიდენტის მზადება და პროფესიული სრულყოფა კუჭნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეთოდებში, აღნიშნული მოდულის გავლის შემდეგ რეზიდენტს უნდა შეეძლოს ლაბორატორიული გამოკვლევების სრულყოფილი ინტერპრეტაცია და ანალიზი.

მოდულის ამოცანებია:

- ბიოქიმიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია
- იმუნოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია
- მორფოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია
- რადიოიზოტოპულ

თეორიული კურსი:

- სისხლის საერთო ანალიზის ინტერპრეტაცია;
- სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
- სისხლის იმუნოლოგიური და ბაქტერიული კვლევის ინტერპრეტაცია;
- სისხლის სეროლოგიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ჰემოსტაზიოგრამის ინტერპრეტაცია;
- შარდის საერთო ანალიზი;
- შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია;
- კუჭის წვენის ლაბორატორიული კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია;
- დუოდენური ზონდაჟის მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
- განავლის მიკრობიოლოგიური და ციტოლოგიური ინტერპრეტაცია;
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი და ენდოსკოპიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია;
- ღვიძლის და სანაღვლე გზების ულტრასონოგრაფიული, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და ბიოფსიური კვლევის ინტერპრეტაცია;

ცხრილი 15

მოდული	პროფესიული უნარ-ჩვევები	რაოდ.	დავალება
ღვიძლის და გასტროინტენსტი ნური ტრაქტის ლაბორატორიული კვლევის მეთოდები	ღვიძლის და გასტროინტენსტინური ტრაქტის ლაბორატორიული კვლევის ჩატარებისას მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია	150-200	დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურას -თან. რამდენიმე შემთხვევის პრეზენტაცია

მოდულის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ ყოველი მოდულის დამთავრების შემდეგ ზეპირი გასაუბრებით, ტესტის მეშვეობით და უნარ-ჩვევების ათვისების დონის შემოწმებით.

რეკომენდებული ლიტერატურის სია:

- 1) შინაგანი სნეულებანი, ნ. ტატიშვილი, გ. სიმონია;
- 2) “დიაგნოსტიკური ძიებები შინაგან დაავადებათა კლინიკაში _ სიმპტომიდან დიაგნოზამდე”, გ. ქავთარაძე.
- 3) “შინაგან დაავადებათა სინდრომული დიფერენციალური დიაგნოსტიკა და გადაუდებელი თერაპია”, დ. ტვილდიანი, ბ.კანდელაკი
- 4) Руководство по гастроэнтерологии Под редакцией Ф.И. Комарова, С.И. Рапопорта;
- 5) Гастроэнтерология Под редакцией Ф.Ю. Барановского;
- 6) Гастроэнтерология С.П.Л. Трэвис, Р.Х. Тэйлор, Дж. Д.Ж. Мисевич;
- 7) Гастроэнтерология и Гепатология (диагностика и лечение) под редакцией Калинина А.В. Хазанова А.И.;
- 8) Диагностик болезней внутренних органов А.Н. Огороков;
- 9) Клиническая Гастроэнтерология П.Я. Григорьев, А.В. Яковенко;
- 10) Диагностический справочник гастроэнтеролога [Н. Н. Полушкина](#);
- 11) [HARRISON'S Gastroenterology and Hepatology DAN L. LONGO ANTONY S. FAUCI](#);
- 12) Yamada's Text book of Gastroenterology
- 13) Sleisenger and Fordtran's Gastrointestinal and Liver Disease
- 14) Gastroenterology – journal
- 15) Merck manual